გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის სამუშაოების შესყიდვის მიზნით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #3

NAT170015198

ქ. გორი 24 იანვარი 2018 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

თეიმურაზ მანველიშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მირიან კლიმიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გიორგი სამნიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

სატენდერო აპარატის შემადგენლობა:

ალექსანდრე თარხნიშვილი - აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში მეორე რანგის მეორადი სტუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) (NAT170015198) პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი დაზუსტებული სატენდერო წინადადების განხილვა.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ალექსანდრე თარხნიშვილმა სატენდერო კომისიას **მოახსენა:** დადგენილ ვადებში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შპს „ორბიტა"-მ წარმოადგინა დაზუსტებული სატენდერო წინადადება.

სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის **შპს „ორბიტა“-ს** მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ - პრეტენდენტს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი აქვს 2 რეკომენდაცია რომლებიც არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით განსაზღვრულ პირობას რეკომენდაციასთან დაკავშირებით. საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილი არ შეიცავს ინფორმაციას ვადასა და ხარისხთან დაკავშირებით, ასევე ცნობის გამცემი არაა არანაკლებ 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი ჯამური ღირებულებით, ანალოგიური ხასიათის, სირთულის, შინაარსის სამუშაოები (გზების მოვლა/შენახვა, გზების მოწყობა/რეაბილიტაცია), ხელშეკრულების დამკვეთი, ხოლო მეორე წარმოდგენილი რეკომენდაციის გამცემი შპს „გზამშენი“ არაა შემსყიდველი ორგანიზაცია (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანიზაცია).

სატენდერო კომისიამ იმსჯელა შპს „ორბიტა“-სთვის დისკვალიფიკაციის მიცემის შესახებ, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

კომისიამ დაადგინა:

- **შპს „ორბიტა“-ს** მიენიჭოს დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით;
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის და წერილის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე	გელა კაპანაძე
კომისიის წევრები	თეიმურაზ მანველიშვილი
	დალი ტლაშაძე
	მირიან კლიმიაშვილი
	გიორგი სამნიაშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ალექსანდრე თარხნიშვილი